- **პროგრამის სახელწოდება**

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

- **პროგრამის განხორციელების ენა**

ქართული

- **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**

  საბაზო - საბაზო განათლება არის სავალდებულო. საბაზო საფეხურის წარმატებით დასრულების საფუძველზე მოსწავლე იღებს საბაზო საფეხურის განათლების ატესტატს. საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეუძლია სწავლა გააგრძელოს ზოგადსაგანმანათლებლო დასწესებულების საშუალ საფეზურზე ან პროფესიულ კოლეჯში.

- **განათლების დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით**

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის/სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგები – ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.
(ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 1, პუნქტი 5)

- **სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი**

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლა, ქ. საჩხერე, ლაშა ლაშხის ქ. #1

I. დეტალური ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

- **პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგები, საგნობრივი ჯგუფების მიხედვით**

საბაზო საფეხურის ფარგლებში საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულ თემებსა და შუალედური მიზნის დავალებებში მუშავდება ქვემოთ მოცემული სამიზნე ცნებები, რაც ხელს უწყობს სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
ინფორმაცია თითოეული საგნის, კლასისა და სემესტრის/სემესტრების შესახებ იხ. სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივი კურიკულუმების გეგმებში.

საგნობრივი ჯგუფი - ქართული ენა და ლიტ-ა
საგანი - ქართული ენა და ლიტ-ა

ქართ.დაწყ.(I).1	სტრატეგიების გამოყენებით, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგება ცოდნა-გამოცდილების გამდიდრების მიზნით.	**ტექსტი** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)
ქართ.დაწყ.(I).2	გაწაფული კითხვა ტექსტების შინაარსის შეუფერხებელი წვდომისთვის.	**სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I).4, 5, 6)
ქართ.დაწყ.(I).3	საკუთარი ან/და ლიტერატურული გამოცდილების გამოყენება ტექსტში მოცემული ინფორმაციის (მაგ., პერსონაჟის ქცევის) შეფასების, პირადი დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით.	**გრამატიკა (პრაქტიკული)** (შედეგები: (I).5, 6)
ქართ.დაწყ.(I).4	სტრატეგიების გამოყენებით, მცირე ზომის ტექსტების შედგენა სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულზე რეაგირების, ამბის გადმოცემის).	**წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასისთვის)** (შედეგები: (I) 2, 4, 6)
ქართ.დაწყ.(I).5	ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და ლექსიკის ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (მაგ., წაკითხულის გაგება-გააზრებისას, ახალი ტექსტის შედგენისას).	
ქართ.დაწყ.(I).6	ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში ადეკვატური სამეტყველო ქმედების განხორციელება.	**დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის)** (შედეგები: (I). 2, 4, 6)
ქართ.დაწყ.(II). 1	სტრატეგიების გამოყენებით, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგება ცოდნა-გამოცდილების გამდიდრების, ინფორმაციის მოპოვების მიზნით.	**ტექსტი** (შედეგები: (II). 1,2,4,5)
ქართ.დაწყ.(II). 2	საკუთარი ან/და ლიტერატურული გამოცდილების, რეალური ფაქტების ცოდნის გამოყენება ტექსტის ინტერპრეტირების, შეფასების, პირადი დამოკიდებულების გამოხატვის, დასკვნების გამოტანის თუ ახსნა-დასაბუთების მიზნით.	**სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (II). 4,5,6)
ქართ.დაწყ.(II).	სტრატეგიების გამოყენებით, ნაცნობი ჟანრის ტექსტების შედგენა სხვადასხვა მიზნით (მაგ., თვითგამოხატვის,	**გრამატიკა**

3	შთაბეჭდილების გადმოცემის, წაკითხულის ინტერპრეტირების).	(შედეგები: (II). 1,3,4,6)
ქართ.დაწყ.(II). 4	ენობრივ-გრამატიკული ფორმების, ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ამოცნობა და ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (მაგ., ტექსტების ინტერპრეტირებისას, შექმნისას).	
ქართ.დაწყ.(II). 5	ჟანრული მახასიათებლების ცოდნის, ნასწავლი ლექსიკის მიზნობრივად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (მაგ., ნაცნობი ჟანრის ტექსტის შედგენისას).	
ქართ.დაწყ.(II). 6	სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების გათვალისწინებითა და სათანადო ენობრივი საშუალებების გამოყენებით.	

საგნობრივი ჯგუფი - მათემატიკა

საგანი - მათემატიკა

სამიზნე ცნებები

- **რიცხვები**
- სიმრავლე, რიცხვითი სიმრავლეები
- ფარდობა, პროპორცია, პროცენტი

- **ალგებრა**
- ალგებრული გამოსახულება
- განტოლება, უტოლობა,
- (განტოლებათა და უტოლობათა სისტემები)
- დამოკიდებულება, ფუნქცია
- მიმდევრობა

- **გეომეტრია და გაზომვები**
- გეომეტრიული ფიგურ„; ბრტყელი ფიგურები
- სივრცული სხეულები
- ფიგურათა ტოლობა, მსგავსება
- ტრიგონომეტრიული თანაფარდობა
- ანალიზური გეომეტრია, გარდაქმნები

- **სტატისტიკა და ალბათობა**
- მონაცემთა ანალიზი
- ხდომილობა, ხდომილობის ალბათობა

მათ.საბ.1.	მათემატიკური ან სხვა საგნებიდან მომდინარე ამოცანების განხილვისას ჰიპოთეზების ჩამოყალიბება, მათი მართებულობის დადგენა ან უარყოფა;
მათ.საბ.2.	მსჯელობის ხაზის განვითარება; განზოგადებით ან დედუქციით მიღებული დასკვნების დასაბუთება. რაოდენობრივი, ლოგიკური მსჯელობა;

მათ.საბ.3.	მათემატიკური ობიექტების განსაზღვრებებისა და თვისებების სწორად ჩამოყალიბება; მათემატიკური ტერმინების, აღნიშვნებისა და სიმბოლოების კორექტულად და ლოგიკურად გამოყენება.
მათ.საბ.4	მათემატიკურ დებულებათა ფორულირების ხერხების კორექტულად გამოყენება;
მათ.საბ.5	**მათემატიკურ იდეებს შორის კავშირის დადგენა. მათემატიკისა და სხვა საგნებს შორის კავშირების დადგენა. კანონზომიერების აღმოჩენა;**
მათ.საბ.6.	გრაფიკულად გადმოცემული მათემატიკური შინაარსის ინფორმაციის წაკითხვა; მათემატიკური ობიექტების გრაფიკული ხერხით (გრაფიკების, დიაგრამების და ნახაზების სახით) წარმოდგენა.
მათ.საბ.7.	ყოველდღიურ ცხოვრებაში, არსებული ობიექტებისა და პროცესების მათემატიკური ფორმულირება, წარმოდგენა გამოსახულების, განტოლების, გრაფიკის სახით. მათემატიკური მოდელის შექმნა და არსებული რეალური საკითხის აღნიშნული გზით გადაჭრა. კვლევის დაგეგვმა, პროცედურის, მონაცემების აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა, სათანადო რესურსების შერჩევა);
მათ.საბ.8.	ამოცანის შინაარსის აღქმა, ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გააზრება-გამიჯვნა, პრობლემის გამოკვეთა და მისი ჩამოყალიბება;
მათ.საბ.9.	კომპლექსური (რთული) პრობლემის საფეხურებად, მარტივ ამოცანებად დაყოფა და ეტაპობრივად გადაჭრა/ამოხსნა;
მათ.საბ.10.	ამოცანის ამოხსნის შემდეგ მიღებული შედეგის კრიტიკული შეფასება, ანალიზი, ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით.
მათ.საბ.11	ტექნოლოგიების გამოყენება მათემატიკური პრობლემის ამოხსნითვის. ტექნოლოგიების გამოყენებით საკითხის ვიზუალური წარმოდგენა, მოდელის შექმნა. კომპიუტერული აპლიკაციების გამოყენება მათემატიკური პრობლემის გადაჭრისთვის.

საგნობრივი ჯგუფი - უცხოური ენები

საგანი - ინგლისური ენა

Iუცხ.საბ.1.	ტექსტის გაგება-გააზრება ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული, სტრუქტურული და ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენებით;	**ზეპირი კომუნიკაცია** (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 8)
Iუცხ.საბ.2.	ტექსტის გაგებამდე, გაგების პროცესში და გაგების შემდგომ შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება ტექსტის გაგება-გააზრების პროცესებისა და ენობრივ-გრამატიკული ცოდნის გაუმჯობესების ხელშესაწყობად;	
Iუცხ.საბ. 3.	ტექსტის გააზრებისას, კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათი გადაჭრის გზების დადგენა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	
Iუცხ.საბ. 4.	ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციებში ზეპირი კომუნიკაციის დამყარება ნასწავლი სამეტყველო მოქმედებებისა და ენობრივ-გრამატიკული ცოდნის გამოყენებით;	
Iუცხ.საბ.5.	ზეპირი კომუნიკაციის დამყარებამდე და კომუნიკაციის დროს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად;	**წერითი კომუნიკაცია**

Iუცხ.საბ.6.	საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი წერითი ტექსტის შექმნა ენობრივ-გრამატიკული, შინაარსობრივი, სტრუქტურული თუ ჟანრობრივი მახასიათებლების დაცვით, საბოლოო ვარიანტის სათანადოდ გაფორმება;	(შედეგები: 1, 2, 3, 6, 7, 8)
Iუცხ.საბ.7.	წერამდე, წერის დროს და წერის შემდგომ ფაზებში შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება წარმატებული წერითი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად;	**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა** (შედეგები 9, 10)
Iუცხ.საბ.8.	ზეპირი და წერითი კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათ გადასალახად სამოქმედო გეგმის შედგენა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	
Iუცხ.საბ.9.	ტექსტებსა და კონტექსტებში ასახული სოციოკულტურული და კულტურული თვითმყოფადობის გამომხატველი რეალიების ამოცნობა, მშობლიურთან შედარება, მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა და კომუნიკაციისას გათვალისწინება;	
Iუცხ.საბ.10.	კულტურათშორისი დიალოგის ხელშემწყობი ინიციატივების გამოვლენა და რეალიზება, სოციოკულტურული თავისებურებების დაფასება და გაზიარება.	

საგანი - გერმანული ენა

IIუცხ.საბ.1.	ტექსტის გაგება-გააზრება ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული, სტრუქტურული და ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენებით;	**ზეპირი კომუნიკაცია** (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 8)
IIუცხ.საბ.2.	ტექსტის გაგებამდე, გაგების პროცესში და გაგების შემდგომ შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება ტექსტის გაგება-გააზრების პროცესებისა და ენობრივ-გრამატიკული ცოდნის გაუმჯობესების ხელშესაწყობად;	
IIუცხ.საბ. 3.	ტექსტის გააზრებისას, კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათი გადაჭრის გზების დადგენა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	**წერითი კომუნიკაცია** (შედეგები: 1, 2, 3, 6, 7, 8)
IIუცხ.საბ. 4.	ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციებში ზეპირი კომუნიკაციის დამყარება ნასწავლი სამეტყველო მოქმედებებისა და ენობრივ-გრამატიკული ცოდნის გამოყენებით;	
IIუცხ.საბ.5.	ზეპირი კომუნიკაციის დამყარებამდე და კომუნიკაციის დროს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად;	
IIუცხ.საბ.6.	საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი წერითი ტექსტის შექმნა ენობრივ-გრამატიკული, შინაარსობრივი, სტრუქტურული თუ ჟანრობრივი მახასიათებლების დაცვით, საბოლოო ვარიანტის სათანადოდ გაფორმება;	**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა** (შედეგები: 9, 10)
IIუცხ.საბ.7.	წერამდე, წერის დროს და წერის შემდგომ ფაზებში შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება წარმატებული წერითი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად;	
IIუცხ.საბ.8.	ზეპირი და წერითი კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათ გადასალახად სამოქმედო გეგმის შედგენა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	
IIუცხ.საბ.9.	ტექსტებსა და კონტექსტებში ასახული სოციოკულტურული და კულტურული თვითმყოფადობის გამომხატველი რეალიების ამოცნობა, მშობლიურთან შედარება, მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა და კომუნიკაციისას გათვალისწინება;	

IIუცხ.საბ.10.	კულტურათშორისი დიალოგის ხელშემწყობი ინიციატივების გამოვლენა და რეალიზება, სოციოკულტურული თავისებურებების დაფასება და გაზიარება.	

საგანი- რუსული

IIუცხ.საბ.1.	ტექსტის გაგება-გააზრება ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული, სტრუქტურული და ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენებით;	**ზეპირი კომუნიკაცია** (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 8)
IIუცხ.საბ.2.	ტექსტის გაგებამდე, გაგების პროცესში და გაგების შემდგომ შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება ტექსტის გაგება-გააზრების პროცესებისა და ენობრივ-გრამატიკული ცოდნის გაუმჯობესების ხელშესაწყობად;	
IIუცხ.საბ. 3.	ტექსტის გააზრებისას, კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათი გადაჭრის გზების დადგენა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	**წერითი კომუნიკაცია** (შედეგები: 1, 2, 3, 6, 7, 8)
IIუცხ.საბ. 4.	ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციებში ზეპირი კომუნიკაციის დამყარება ნასწავლი სამეტყველო მოქმედებებისა და ენობრივ-გრამატიკული ცოდნის გამოყენებით;	
IIუცხ.საბ.5.	ზეპირი კომუნიკაციის დამყარებამდე და კომუნიკაციის დროს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად;	
IIუცხ.საბ.6.	საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი წერითი ტექსტის შექმნა ენობრივ-გრამატიკული, შინაარსობრივი, სტრუქტურული თუ ჟანრობრივი მახასიათებლების დაცვით, საბოლოო ვარიანტის სათანადოდ გაფორმება;	**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა** (შედეგები: 9, 10)
IIუცხ.საბ.7.	წერამდე, წერის დროს და წერის შემდგომ ფაზებში შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება წარმატებული წერითი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად;	
IIუცხ.საბ.8.	ზეპირი და წერითი კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათ გადასალახად სამოქმედო გეგმის შედგენა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	
IIუცხ.საბ.9.	ტექსტებსა და კონტექსტებში ასახული სოციოკულტურული და კულტურული თვითმყოფადობის გამომხატველი რეალიების ამოცნობა, მშობლიურთან შედარება, მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა და კომუნიკაციისას გათვალისწინება;	
IIუცხ.საბ.10.	კულტურათშორისი დიალოგის ხელშემწყობი ინიციატივების გამოვლენა და რეალიზება, სოციოკულტურული თავისებურებების დაფასება და გაზიარება.	

საგნობრივი ჯგუფი - საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგანი - ისტორია

ისტ. საბ. 1.	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:** საკუთარი მოსაზრების/პოზიციის წყაროს/მტკიცებულების საფუძველზე დასაბუთება; იმის გაცნობიერება, რომ ახალი წყაროების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად	**წყარო/ ინტერპრეტაცია** (შედეგები: 1, 2,

	გააზრება/გადაფასება;	5, 6)
ისტ. საბ. 2.	სხვადასხვა ტიპის (პირველადი და მეორადი) წყაროსა და თვალსაჩინოებების (მაგ, ისტორიული რუკა, გენეალოგიური ტაბულა) მიზნის შესაბამისად გამოყენება; წყაროების კრიტიკული ანალიზი;	**დრო** (შედეგი: 3, 7, 8)
ისტ. საბ. 3.	ისტორიული მოვლენების გადმოცემისას ქრონოლოგიური ერთეულებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება;	
ისტ. საბ. 4.	ისტორიული მოვლენის/ფაქტების ტიპოლოგიური დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური ნიშნით);	**სივრცე** (შედეგი: 3, 9)
ისტ. საბ. 5.	ფაქტების, ინტერპრეტაცია/მოსაზრებების და სტერეოტიპების ერთმანეთისგან გარჩევა;	
ისტ. საბ. 6.	ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის განსხვავებულად ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება: ისტორიულ მოვლენაზე და პიროვნებაზე განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის მიზეზების ახსნა, განსხვავებული ინტერპრეტაციების შედარება და შეფასება.	**საზოგადოება** (შედეგი: 7.8.10,11,12)
ისტ. საბ. 7.	ისტორიული ეპოქის მახასიათებლების (სოციალურ-კულტურული განვითარება, რელიგია და მსოფლმხედველობა, სახელმწიფოებრივი განვითარება და პოლიტიკა) გამოყოფა, ეპოქის უნიკალურობის ჩვენება;	**ძალაუფლება** (შედეგი: 7,8,10,11,12)
ისტ. საბ. 8.	ისტორიული მოვლენების და პროცესების დანახვა/შეფასება კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალით;	
ისტ. საბ. 9.	კონკრეტული მაგალითების მოშველიებით ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობა.	**ისტორიული მოვლენა / პროცესი** (შედეგი: 4, 5, 6, 8, 9)
ისტ. საბ. 10.	ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება;	
ისტ. საბ. 11.	პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ;	
ისტ. საბ. 12.	ისტორიული მაგალითების მოშველიებით სახელმწიფოებრივი აზროვნებისა (პატრიოტიზმი) და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, მონაწილეობა) საჭიროების დასაბუთება.	

საგანი - მოქალაქეობა

მოქ.საბ.1.	საკუთარი შეხედულებების, ქცევების შეფასება და კორექტირება, ემოციების მართვა (თვითრეფლექსია);	**სოციალიზაცია** *(პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)* (შედეგები: 1, 2)
მოქ.საბ.2.	საკუთარი თავის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მაგალითად, სასკოლო თემის) წევრად აღქმა;	
მოქ.საბ.3.	საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა;	
მოქ.საბ.4.	დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება.	**დემოკრატია** *(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის*
მოქ.საბ.5.	მოკლე და გრძელვადიანი მიზნების დასახვა; იდეების ჩამოყალიბება, ინიციატივის გამოვლენა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა;	
მოქ.საბ.6.	მომავალი პროფესიის შერჩევისთვის საკუთარი შესაძლებლობების, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გააზრება;	

მოქ.საბ.7.	ასაკის შესაბამისი ფინანსური უნარ-ჩვევების (მაგ., პირადი ფინანსების დაგეგმვა და პასუხისმგებლობით განკარგვა) გამოვლენა.	*პრინციპები)* (შედეგები: 3, 4, 13)
მოქ.საბ.8.	სამოქალაქო აქტივობებში მოხალისეობის საფუძველზე ჩართულობის მნიშვნელობის გაცნობიერება და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე მოქმედების საჭიროების დანახვა;	
მოქ.საბ.9.	საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა; კონფლიქტების არაძალადობრივი გზებით მოგვარება;	**ინიციატივა და მეწარმეობა** (შედეგები: 5, 6, 7)
მოქ.საბ.10.	მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრება და მათ საფუძველზე მოქმედება;	
მოქ.საბ.11.	ცხოვრებისეულ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება;	**სამოქალაქო მონაწილეობა** (შედეგები: 8, 9, 12, 13)
მოქ.საბ.12.	სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა (ინფორმაციის მოპოვება, ლობირება, ადვოკატირება, ადვოკატირების გზით ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და მონიტორინგი);	
მოქ.საბ.13.	საკუთარი გადაწყვეტილებების/შეხედულებების უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებების კონვენცია) საფუძველზე დასაბუთება.	**მდგრადი განვითარება** (შედეგები: 7, 10, 11)

საგნობრივი ჯგუფი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საგანი - ბიოლოგია

ბიოლ.საბ.1.	სიცოცხლის ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე მყოფი ცოცხალი სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციის დახასიათება;	**სტრუქტურა, ფუნქცია** (შედეგები: 1, 2, 3, 5, 6,7,8,9,10)
ბიოლ.საბ.2.	ორგანიზმების საერთო სასიცოცხლო თვისებების დახასიათება და მათში მიმდინარე ენერგიისა და ნივთიერებების გარდაქმნებზე არგუმენტირებული მსჯელობა;	
ბიოლ.საბ.3.	ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მისი ცვლილების მნიშვნელობის გააზრება;	**სასიცოცხლო თვისება** (შედეგები: 1, 2, 5, 6,7,8,9,10)
ბიოლ.საბ.4.	ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება და მისი დაცვა.	
ბიოლ.საბ.5.	ბიოლოგიური ობიექტების/პროცესის შესწავლის მიზნით კვლევის დაგეგმვა;	**ბიომრავალფეროვნება** (შედეგები: 1, 2, 5, 6,7,8,9,10, 11,12,13)
ბიოლ.საბ.6.	ბიოლოგიური ობიექტების/პროცესების კვლევისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება;	
ბიოლ.საბ.7.	თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით ჩაწერა და ორგანიზება; მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;	**ჯანმრთელობა და დაავადება** (შედეგები: 1,2,5,6, 5, 6,7,8,9,10, 11,12,13)
ბიოლ.საბ.8.	მონაცემების გაანალიზება და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა;	

ბიოლ.საბ.9.	მოდელების შექმნა და გამოყენება ცოცხალი სისტემების სტრუქტურისა და ბიოლოგიური პროცესების საჩვენებლად;	**კვლევა** (შედეგები: 5,6,7,8,9,10,11,12,13)
ბიოლ.საბ.10.	კვლევის ჩატარებისას უსაფრთხოების წესების დაცვა.	
ბიოლ.საბ.11.	საბუნებისმტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების შეფასება მდგრადი განვითარების პრინციპების თვალსაზრისით;	
ბიოლ.საბ.12.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების ყოველდღიურობასთან დაკავშირება;	
ბიოლ.საბ.13.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან დაკავშირება.	

საგანი ფიზიკა

ფიზ.საბ.1.	მატერიის დახასიათება მისი ფიზიკური თვისებების მიხედვით;	**მატერია**
ფიზ.საბ.2.	სხეულთა ურთიერთქმედებაზე და ურთიერთქმედების შედეგებზე არგუმენტირებული მსჯელობა;	
ფიზ.საბ.3.	ენერგიის სახეების დახასიათება და მათ ურთიერთგარდაქმნაზე არგუმენტირებული მსჯელობა.	**მოძრაობა და ცვლილებები**
ფიზ.საბ.4.	ფიზიკური მოვლენების შესწავლის მიზნით კვლევის (ცდა, ექსპერიმენტი) დაგეგმვა (ჰიპოთეზების შემუშავება, დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების განსაზღვრა, კვლევის პროცედურის, მონაცემების აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა, სათანადო რესურსების შერჩევა);	**ენერგია და ურთიერთქმედება**
ფიზ.საბ.5.	ფიზიკური პროცესებისა და კანონზომიერებების კვლევისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება (დაკვირვება, გაზომვა, მონაცემების აღრიცხვა, შესაბამისი მასალისა და აღჭურვილობის ადეკვატურად გამოყენება);	**კვლევა**
ფიზ.საბ.6.	თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით (ცხრილებით, დიაგრამებით, გრაფიკებით და სხვ.) ჩაწერა და ორგანიზება; მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;	
ფიზ.საბ.7.	მონაცემების გაანალიზება და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა, ცვლადებს შორის დამოკიდებულების აღსაწერად დიაგრამებისა და გრაფიკების გამოყენება;	
ფიზ.საბ.8.	მოდელების შექმნა და გამოყენება ფიზიკური მოვლენების/ კანონზომიერებების საჩვენებლად;	
ფიზ.საბ.9.	ცდისა და ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ჩატარებისას უსაფრთხოების წესების დაცვა.	
	მიმართულება: მეცნიერება და ტექნოლოგიები	

ფიზ.საბ.10.	ფიზიკისა და ტექნოლოგიების მიღწევების შეფასება მდგრადი განვითარების პრინციპების თვალსაზრისით;	
ფიზ.საბ.11.	ფიზიკისა და ტექნოლოგიების მიღწევების ყოველდღიურობასთან დაკავშირება;	
ფიზ.საბ.12.	ფიზიკის სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირება.	

საგანი- **ქიმია**

ქიმ.საბ.1.	ნივთიერებათა კლასიფიცირება მათი შედგენილობის, ფიზიკური და ქიმიური თვისებების მიხედვით;	**ნივთიერება** (შედეგები: 1, 2, 5, 8) **ქიმიური ბმა** (შედეგები: 1, 2.) **ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი** (შედეგები: 3) **ფიზიკური და ქიმიური მოვლენები** (შედეგები 3, 7, 8, 9) **კვლევა** (შედეგები: 6, 7, 8, 9, 10, 11 ,2, 13, 14) **აღმოჩენა, თეორია, კანონი, მდგრადი განვითარება, ტექნოლოგია**
ქიმ.საბ.2.	ნივთიერებათა თვისებების დაკავშირება მათი მოლეკულების შედგენილობაში შემავალი ატომების ელექტრონულ აღნაგობასთან და ქიმიური ბმის ხასიათთან;	
ქიმ.საბ.3.	ელემენტთა პერიოდული ცხრილის ორგანიზების პრინციპის გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადაჭრისთვის;	
ქიმ.საბ.4.	ფიზიკური და ქიმიური თვისებებისა და მოვლენების დახასიათება, ერთმანეთისგან განსხვავება და სხვადასხვა სახის ქიმიური რეაქციის აღწერა;	
ქიმ.საბ.5.	ფიზიკური და ქიმიური მოვლენების რაოდენობრივი დახასიათება.	
ქიმ.საბ.6.	ქიმიური პროცესების კვლევის მიზნით კვლევის დაგეგმვა;	
ქიმ. საბ.7.	ქიმიური მოვლენების კვლევისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება;	
ქიმ.საბ.8.	თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით ჩაწერა და ორგანიზება; მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;	
ქიმ.საბ.9.	მონაცემების გაანალიზება და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა;	
ქიმ.საბ.10.	მოდელების შექმნა და გამოყენება ქიმიური პროცესის, მოვლენის, ნაერთების გარდაქმნის საჩვენებლად;	
ქიმ.საბ.11.	კვლევის ჩატარებისას უსაფრთხოების წესების დაცვა.	
ქიმ.საბ.12.	საბუნებისმტყველო მეცნიერებების და ტექნოლოგიების მიღწევების შეფასება მდგრადი განვითარების პრინციპების თვალსაზრისით;	
ქიმ.საბ.13.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ტექნოლოგიების მიღწევების ყოველდღიურობასთან დაკავშირება;	

ქიმ.საბ.14.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირება.	

საგანი-გეოგრაფია

გეო.საბ.1.	პირობითი აღნიშვნების გამოყენებით სხვადასხვა შინაარსის რუკის კითხვა და ანალიზი;	**გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი** **გეოგრაფიული გარსი** **გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი** **მოსახლეობა და მეურნეობა** **მდგრადი განვითარება**
გეო.საბ.2.	სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტის ადგილმდებარეობის განსაზღვრა ადგილსა და რუკაზე;	
გეო.საბ.3.	სხვადასხვა ტიპის წყაროდან (რუკა, ფოტო, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა, აერო და კოსმოსური სურათები, მულტიმედია საშუალებები) ინფორმაციის ამოკითხვა და გაანალიზება; კვლევის შედეგების ცხრილების, გრაფიკების და დიაგრამების სახით წარმოდგენა;	
გეო.საბ.4.	გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო, დედამიწის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება;	
გეო.საბ.5.	შინაგანი და გარეგანი ძალების დაკავშირება დედამიწის თანამედროვე სახის ჩამოყალიბების პროცესთან;	
გეო.საბ.6.	გეოგრაფიული აღმოჩენების მნიშვნელობის გააზრება საზოგადოების განვითარებისთვის;	
გეო.საბ.7.	ბუნებრივი პირობებისა და რესურსების ზეგავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე;	
გეო.საბ.8.	მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლების (ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა, სტრუქტურა, სიმჭიდროვე, განსახლება) ცვალებადობის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გააზრება;	
გეო.საბ.9.	ცალკეული გეოგრაფიული ერთეულების (კონტინენტი, რეგიონი, ბუნებრივი ზონა, ლანდშაფტი) კომპლექსური დახასიათება;	
გეო.საბ.10.	გარემოსადმი მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა;	
გეო.საბ.11.	მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის გააზრება მოსახლეობის კეთილდღეობისთვის;	
გეო.საბ.12.	გარემოზე ადამიანის საქმიანობის (ანთროპოგენური ზემოქმედების) შედეგების შეფასება;	
გეო.საბ.13.	სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფის ნიშნების ამოცნობა; წარმოქმნის მიზეზების გაანალიზება; მათი თავიდან აცილებისთვის/ზიანის შერბილებისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება; უსაფრთხო ქცევის წესების დაცვა	

საგნობრივი ჯგუფი - ესთეტიკური აღზრდა
საგანი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

ს.გ.საბ.1.	ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება.	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** (შედეგები: 1, 2, 3, 4)
ს.გ.საბ.2.	ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი.	
ს.გ.საბ.3.	ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა** (შედეგები: 1, 2, 3, 4) **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები** (შედეგები: 1,2, 3, 4) **სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები** (შედეგები: 1, 2, 3, 4)
ს.გ.საბ.4.	სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.	

საგანი - **მუსიკა**

მუს.საბ.1.	სხვადასხვა რიტმული, ინტონაციური ფორმულებისა და სხვა მუსიკალური ელემენტების გამოყენება იმპროვიზაციის დროს;	მელოდია რიტმი და მეტრი ჰარმონია ჟანრი ფორმა
მუს.საბ.2.	მარტივი მუსიკალური ფორმებით, საკუთარი ან სხვისი მუსიკალური მასალით მხატვრული იდეის გადმოცემა;	
მუს.საბ.3.	სხვადასხვა სიმბოლოს გამოყენებით კომპოზიციების ჩაწერა.	
მუს.საბ.4	ნაწარმოების მოსმენისას მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მხატვრული სახის შექმნაში მათი როლის განსაზღვრა;	
მუს.საბ.5.	აკადემიური და ხალხური მუსიკის ნიმუშებში მხატვრული კონცეფციის განსაზღვრა.	

საგნობრივი ჯგუფი - სპორტი

საგანი - ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ფ.ა.სპ.საბ.1.	ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობის (როგორც ჯანმრთელობის	თვითკონტროლი

	განმტკიცებისა და სოციალიზაციის ხელშემწყობი საშუალების) მნიშვნელობის გაცნობიერება;	ორგანიზებულობა ფიზიკური თვისებები ტექნიკური ელემენტები
ფ.ა.სპ.საბ.2.	სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობების საშუალებით ორგანიზებულობის განვითარება;	
ფ.ა.სპ.საბ.3.	სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში თვითკონტროლის (მაგალითად: ემოციების მართვა, დისციპლინის, უსაფრთხოების, ძირითადი წესებისა, სამართლიანი თამაშის წესების დაცვა) გამოვლენა.	
ფ.ა.სპ.საბ.4.	ტექნიკური ელემენტების (მაგალითად: გადაცემა, ტყორცნა, მიღება, დარტყმა, ჩაწოდება/მოწოდება, გათამაშება, ტარება, გადაადგილება, დგომი) განვითარება;	
ფ.ა.სპ.საბ.5.	ფიზიკური თვისებების (მაგალითად: ძალა, სისწრაფე, მოქნილობა, გამძლეობა, სიმარჯვე) განვითარება.	

- **საათობრივი ბადე**

იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა

- **მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები**

იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა

- **კლასის და საფეხურის დაძლევა**

იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა

- **სწავლა-სწავლების პრინციპები**

ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები რეალიზდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- სიღრმისეული სწავლა;

სიღრმისეული სწავლის პრინციპები გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში:

- შუალედური მიზნის დავალებები (საშინაო დავალებები), პირველ რიგში, მოსწავლეების შინაგანი ძალების გააქტიურებას უყობს ხელს და თითოეულ მოსწავლეს საკუთარი ემოციური, სოციალური და შემოქმედებითი უნარების

რეალიზების საშუალებას აძლებს, რასაც მოსწავლისთვის სიამოვნების, კმაყოფილებისა და სიამაყის განცდა მოაქვს და რაც ამაღლებს მის მოტივაციას.

- საგნობრივი კურიკულუმები კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე არის აგებული, კერძოდ, მოსწავლე მიწოდებულ ინფორმაცის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ამუშავებს. ეს ჩანს თემაში - რომელიც გულისხმობს ნაცნობ კონტექსტებს და იძლევა წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას; შუალედური მიზნის დავალებები (საშინაო დავალებები), რომელიც არის კომპლექსური ტიპის და რომელიც ახლოს დგას მოსწავლის გამოცდილების სფეროსთან და თითოეულ მოსწავლეს აძლევს საშუალებას, ნაცნობ კონტექსტებში მოახდინოს ახალი ცოდნის ტრანსფერი.შუალედური მიზნის დავალებებში მუშავდება სამიზნე ცნებები, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს კონკრეტული ცოდნიდან წაიყვანოს ზოგადისკენ.
- საგნობრივი კურიკულუმები ცოდნის 3 კატეგორიის გაქტიურებას უწყობს ხელს, კერძოდ, საკლასო დავალებები ძირითადად ორიენტირებულია დეკლარატიულ ცოდნაზე, შემაჯამებელი დავალებები - პროცედურულზე, ხოლო საშინაო დავალებები - პირობისეული ცოდნის გააქტიურებაზე. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეს, სამივე კითხვას : რა?როგორ?რატომ? გასცეს პასუხი.
- საგნობრივი კურიკულუმები ცოდნის ურთიერთადკავშირებასა და ორგანიზებას უწყობს ხელს, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირება, რომელიც იძლევა საგანთა შორის კავშირების დამყარების საშუალებას და შუალედური მიზნის დავალებები - რომლებიც უზრუნველყოფენ ცოდნის სხვადსხვა კომპონენტების ურთიერთადაკავშირებულად გამოყენებას.
- საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის სტრატეგიების დაუფლებას, მათში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. შუალედური მიზნის დავალებებში ჩაშენებული შეკითხვები (მაგ, რა სტრატეგიბი გამოვიყენო დავალების შესასრულებლად? რა ნაბიჯები გადავდგა? რა ცოდნა და გამოცდილება დამჭირდება დავალების შესასრულებლად?) საშუალებას აძლევს მოსწვლეებს, დაფიქრდნენ სწავლის პროცესზე. ხოლო დავალებების პრეზენტაციების დროს კი მოსწავლემ უნდა უპასუხოს ისეთ კითხვებს, როგორიცაა: რა სტრატეგიები გამოვიყენე? რას გავაკეთებდი განსხვავებულად თავიდან რომ ვიწყებდე დავალების შესრულებას?...
- სასკოლო შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების სტრატეგიების აქტიურად გამოყენება, არჩევანის თავისუფლება და კურიკულუმების მოქნილობა, ხელს უწყობს მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში.
- პოზიტიური სასწავლო გარემო;

  საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული წლის ანალიზზე დაყრდნობით, შესაბამისად, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთ ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები, რაც საჭიროა პოზიტიური გარემოს შესაქმნელად. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული სტრატეგიები, აქტივობები, დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებას, საშუალებას

აძლევს მოსწავლეს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები; შუალედური მიზნის დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, იფიქრონ გლობალურ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

პოზიტიური გარემოს შექმნას სასკოლო კურიკულუმებში გათვალისწინებული **დიფერენცირებული სწავლების** მიდგომებიც უწყობს ხელს. კერძოდ, მათში გათვალისწინებულია:

- მასალის დიფერენცირება (მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტ-ში ტექსტების შინაარსის დიფერენცირება: გამარტივება ან/და სხვა ტექსტის შეთავაზება; მათემატიკაში - ამოცანის პირობის ან სხვა ვარიანტის შეთავაზება და ა.შ.. ასევე ინგლისურ ენაში ენის ცოდნის დონის მიხედვით კლასების დიფერენცირება, რაც თავისთავად მოიაზრებს როგორც მასალი, ისე პროცესის და დავალებების დიფერენცირებას.
- სასწავლო პროცესის დიფერენცირება (მაგალითად, მასწავლებლები იყენებენ სტრატეგიას „გაჩერებებით სწავლება“, სასწავლო მენიუ, პროექტი და სხვ.
- დავალების დიფერენცირებას (მაგ, შუალედური მიზნის დავალებაში პროდუქტის შექმნის სხვადასხვა ვარიანტს სთავაზობენ მოსწავლე: ელექტრონულად , მაკეტის სახით, კომიქისის და ა.შ.
- გარემოს დიფერენცირებას (მაგ, წყვილებში, ჯგუფებში, ინდ. მუშაობა, ასევე სხვადასხვა სივრცეების გამოყენება: ეზო, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია...

დიფერენცირების სწორად წარმართვაში მასწავლებლებს ეხმარება დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასებები, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიები, საკლასო, საშიანო და შემაჯამებელი დავალებების ანალიზები.

- ინკლუზიური განათლება.
  საგნობრივი კურიკულემები და არაფორმალური განათლების აქტივობები ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლაში მიმდინარე პროგრამები, პროექტები და პროფესიული განათლების აქტივობები, სასკოლო რეგულაციები და რესურსები- ხელს უწყობს მოსწავლის უფლებებისა და ღირსების დაცვას, მრავალფეროვნების დაფასებას და სასწავლო პროცესის ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომობას, დემოკრატიის პრიციპების დაცვას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც წარმოადგენს სასკოლო გეგმის ნაწილს. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლა უზრუნველყოფს დამატებით მხარდაჭერას (იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა)

- **სასწავლო დღის განრიგი, საგაკვეთილო განრიგი/განრიგები, გაკვეთილის/გაკვეთილების ხანგრძლივობა კლასების მიხედვით და სასკოლო კალენდარი.**

იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა